საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია
2023
წლიური
ანგარიში

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია
2023
წლიური
საანგარიში

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნონა ქურდოვანიძე, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

სათავო ოფისი
თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ელფოსტა: gyla@gyla.ge
ვებგვერდი: www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023

სარჩევი

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 9

მედიამონიტორინგი 10

შეხვედრები საქართველოს პარტნიორებსა და მხარდამჭერებთან 11

სამართლებრივი დახმარება 12

იურიდიული დახმარება 13

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 16

აღსრულების მექანიზმების გამოყენება 21

სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებზე რეაგირება 23

ადამიანის უფლებების დაცვა 27

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის აღსრულების მონიტორინგი 29

გარემოს დაცვა 31

სასამართლო პროცესების მონიტორინგი 33

შეკრების, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლება 35

შრომის უფლება 37

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაგზავნილი ანგარიშები და საერთაშორისო თანამშრომლობა 39

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 40

საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი 42

მართლმსაჯულება 44

არჩევნები 46

საჯარო მმართველობა 48

ადგილობრივი თვითმმართველობა 50

ევროინტეგრაცია: ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების კონტროლი 52

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში 54

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები 57

ჩემთვის პატივია, წარმოგიდგინოთ და თქვენთან ერთად შევაჯამო საიას საქმიანობა 2023 წელს. ჩვენ, უკვე 29 წელია, ვეხმარებით ხალხს, ვიბრძვით დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად - სასამართლო დარბაზებში, პარლამენტში, დახურულ და ღია ფორმატებში, ქუჩაში, ყველგან, სადაც გვისმენენ, გვენდობიან და იქაც, სადაც ცდილობენ, ჩვენი ხმა ჩაახშონ.

ამ წლების განმავლობაში ორგანიზაცია ყოველთვის რჩებოდა საკუთარი მიზნებისა და პრინციპების ერთგული და არც 2023 წელი ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ ის საიასთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის გამოწვევებით სავსე იყო. ამ წელს ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს არაერთხელ შეექმნა საფრთხე. წლის დასაწყისში ხელისუფლების მცდელობა, მიეღო ქვეყნისთვის სახიფათო ე.წ. „რუსული კანონი“, საზოგადოების ფართომასშტაბიანმა პროტესტმა შეაჩერა. თუმცა, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვის ტენდენციები მზარდია. მტრული პროპაგანდა ყოველდღიურად ვრცელდება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სანდოობას უქმნის საფრთხეს.

ამასთანავე, 2023 წელი ისტორიული შესაძლებლობის - ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების წელია. წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია. საია სრულად უჭერს მხარს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვცდილობდით, საკუთარი მანდატის ფარგლებში ხელი შეგვეწყო ქვეყნისთვის, რათა ეჩვენებინა პროგრესი 12 პუნქტის შესრულების გზაზე. სწორედ ესაა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი და მისწრაფება.

ამ მნიშვნელოვან დროს საია განსაკუთრებული ძალისხმევით აგრძელებს იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტებია. მართლმსაჯულება და მასზე ხელმისაწვდომობა, სასამართლო პროცესების მონიტორინგი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა, არჩევნები, საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, მედიის და გამოხატვის თავისუფლება, პირადი და ოჯახური

ცხოვრების უფლება, არასათანადო მოპყრობა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, შრომის უფლება, ჯანმრთელობის დაცვა, უფლება სათანადო საცხოვრებელზე, სოციალური უზრუნველყოფა, ქალების, შშმ პირების, ბავშვების, დევნილების, ხანდაზმულების, ლგბტქი+ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები - ეს იმ საკითხების ჩამონათვალია, რომლებზეც მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვმუშაობდით. მოვამზადეთ ათობით ანგარიში, კვლევა, შეფასება, სახელმძღვანელო, პოლიტიკის დოკუმენტი, საჯარო განცხადება, შევიმუშავეთ რეკომენდაციები და წარვუდგინეთ ადრესატებს, შევხვდით შესაბამის აქტორებს, გავმართეთ საჯარო და დახურული შეხვედრები, პრეზენტაციები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარება გავუწიეთ 20 000-მდე პირს, მოვიგეთ არაერთი მნიშვნელოვანი საქმე როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2023 წელს შევძელით შესაბამისი რესურსების მოზიდვა და გამოვაცხადეთ მცირე საგრანტო კონკურსი რეგიონებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და არაფორმალური საინიციატივო ჯგუფების გასაძლიერებლად.

ამ მიმართულებებით მუშაობის გაგრძელება საიას 2024 წლის გეგმაში რჩება. ამასთანავე, საარჩევნო წლის გათვალისწინებით, 2024 წელს განსაკუთრებულად ვემზადებით. ვგეგმავთ ფართომასშტაბიან საარჩევნო მისიას, დავაკვირდებით არჩევნებს და დავიცავთ ჩვენი მოქალაქეების უფლებას - აირჩიონ საკუთარი ღირებულებები სამართლიან და თავისუფალ გარემოში, შიშის გარეშე.

ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საზოგადოებას იმ ნდობისთვის, რომელსაც მათგან ყოველდღიურად ვიღებთ. ეს გვარწმუნებს და გვახსენებს, რომ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ. მადლობა ჟურნალისტებს, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანაში, ასევე, ჩვენს პარტნიორებსა და დონორებს, რომელთა მხარდაჭერით შევძელით სირთულეების გადალახვა და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა. განსაკუთრებული მადლობა მთავარ ძალას, საიას გუნდს, ერთობლივი ძალისხმევით გაწეული იმ უდიდესი შრომისთვის, რომლის შედეგებსაც ამ ანგარიშში ნახავთ.

პატივისცემით,

ნონა ქურდოვანიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საიას ოფისების დაარსების წლები:

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი - 1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი - 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც 400-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ორგანიზაცია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ სამოქმედო არეალს თანდათან აფართოებს. დღეისთვის საია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობს. ის ემსახურება ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების დაცვას როგორც ინდივიდების, ისე ინსტიტუტების დონეზე.

შინაარსობრივ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- სამართლებრივი დახმარების პროგრამა
- ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა
- დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ამჯერად წარმოგიდგენთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2023 წლის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის 1-ლი ნოემბერი – 2023 წლის 31 ოქტომბერი.

მედიამონიტორინგი

საია სოციალურ მედიაში



მედიაგაშუქება



შეხვედრები საქართველოს პარტნიორებსა და მხარდამჭერებთან

2023 წელს საქართველოს მიმართ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ინტერესი განსაკუთრებით მაღალი იყო. ამ ინტერესს, ერთი მხრივ, განაპირობებდა საქართველოს გაცხადებული მიზანი, წლის ბოლოს მიეღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, ხოლო, მეორე მხრივ - ის სახიფათო პროცესები, რომლებიც ქვეყნის შიგნით პერიოდულად იჩენდა თავს და საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. შესაბამისად, წლის განმავლობაში საქართველოს არაერთი ქვეყნის მნიშვნელოვანი დელეგაცია ეწვია. დიდი იყო მათი დაინტერესება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შეხვედრების თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ წლის განმავლობაში საიას არაერთხელ მიეცა შესაძლებლობა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ყოფილიყო ამ შეხვედრების მონაწილე, ესაუბრა ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და ხაზი გაესვა, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება. მათ შორის, ჩვენთვის პატივია, საიას ოფისში გვემასპინძლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ანალენა ბერბოკისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მისი ოფიციალური ვიზიტი საიას ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრით დაიწყო, რაც რთულ დროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ მხარდაჭერის გზავნილი იყო.

1

სამართლებრივი დახმარება

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა საანგარიშო პერიოდში 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- იურიდიული დახმარება
- სტრატეგიული სამართალწარმოება
- აღსრულების მექანიზმების გამოყენება
- სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებზე რეაგირება

იურიდიული დახმარება

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 19 704 პირს.



გაწეული კონსულტაციები ტიპების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში საიამ ეროვნულ დონეზე წარმატებით დაასრულა 49 საქმე.

ამჟამად საიას წარმოებაშია 392 საქმე:



მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში მოგებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს:

- **დიდ დიღომში 2019 წელს ბუნებრივი აირის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების გამო, „თბილისი ენერჯის“ ზიანის ანაზღაურება დაეკისრა**

საიას დახმარებით, წარმატებით დასრულდა ორი არასრულწლოვანის საქმე და შპს „თბილისი ენერჯის“ დაეკისრა სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე მათთვის სარჩოს გადახდის, ასევე, ჯანმრთელობისა და ოჯახის წევრების გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. საქმე შეეხებოდა 2019 წლის იანვარში, თბილისში, ერთ-ერთ კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვით გამოწვეულ აფეთქებას. გაჟონვის შესახებ შპს „თბილისი ენერჯის“ დროულად ეცნობა, თუმცა მის მიერ გატარებული ზომები საკმარისი არ იყო საფრთხის გასანეიტრალებლად, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია. ეს საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა შპს „თბილისი-ენერჯის“, როგორც არა მხოლოდ კერძო დამსაქმებლის, არამედ როგორც სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების მქონე სუბიექტის პასუხისმგებლობა, მომხმარებლებს ბუნებრივი აირი მიაწოდოს უსაფრთხო ფორმით, სისტემატური შემოწმების გზით.

სახალხო დამცველმა ეკატერინე კიკნაძის, დინარა ვაჩნაძის, ნინო ხუნდაძისა და დავით ნიორაძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი დაადგინა

საიას დახმარებით, კულტურის სფეროში დასაქმებულმა პირებმა - ეკატერინე კიკნაძემ, დინარა ვაჩნაძემ, ნინო ხუნდაძემ და დავით ნიორაძემ სახალხო დამცველს მიმართეს და განსხვავებული მოსაზრებების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა მოითხოვეს. საქმე შეეხებოდა კულტურის მინისტრის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას, რის შედეგადაც, მათ გამარჯვებული კვლევითი პროექტების განხორციელება შეეზღუდათ. სახალხო დამცველმა დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია და გამოცემულ რეკომენდაციაში მიუთითა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება და შემდგომში გამარჯვებული პროექტის დაფინანსებაზე უარი განპირობებული იყო მხოლოდ განმცხადებლების მხრიდან გამოხატული პოზიციებით.

საწარმოო შემთხვევის შედეგად მშენებლობაზე გარდაცვლილი პირის არასრულწლოვანი შვილი სარჩოს მიიღებს

საია სასამართლოში იცავდა ბავშვის ინტერესებს, რომლის მამა მშენებლობაზე მუშაობის დროს სიმაღლიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა. მამის ტრაგიკული დაღუპვის შედეგად, ბავშვმა მიიღო ძლიერი სულიერი ტრავმა და, იმავდროულად, დაკარგა მარჩენალი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას ბავშვის სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრიდან სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიური სარჩოს გადახდა დაეკისრა.

ირაკლი მაჭუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საიამ წარმატებით დაასრულა ირაკლი მაჭუტაძის საქმე. საკონსტიტუციო სასამართლომ, არსებითი განხილვის გარეშე, არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატური 50 წლის ასაკის მიღწევისას თანამდებობას ავტომატურად ტოვებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ჩანაწერი არღვევდა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს (დისკრიმინაციის აკრძალვა) და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებას (საჯარო მოხელის დაცვა თანამდებობრივი უფლებამოსილების უსაფუძვლო შეწყვეტისგან).

გიორგი გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ

საიამ წარმატებით დაასრულა გიორგი გოროშიძის და ინდიკო აბაშიძის საქმე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა 65 წლის ასაკიდან პირის გათავისუფლებას აკადემიური თანამდებობიდან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). სასამართლომ ასევე გააუქმა ნორმა, რომელიც 65 წელს გადაცილებულ პირს აკადემიური თანამდებობის დაკავებას უკრძალავდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის იძულება, 65 წლის ასაკის მიღწევისას გადადგეს აკადემიური თანამდებობიდან ან არ დაიკავოს ის, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაა.

ა.დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

2022 წლის 1-ელ დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ა.დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (nos. 57864/17, 79087/17, 5353/19) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა. განმცხადებლებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს, საქართველოში საკუთარი გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის მიეღწიათ და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერი მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად შეეცვალათ. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება რეგისტრირებული სქესის მარკერის შეცვლა. სასამართლომ ამავე საქმეში ხაზი გაუსვა ქართული კანონმდებლობის ნაკლოვანებას და მასში არსებული დებულებების ბუნდოვანებას.

ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

2015 წლის 19 ივლისს, „თბილისი პანორამას“ პროექტის გაპროტესტების მიზნით, თბილისის საკრებულოს წინ აქცია გაიმართა. რამდენიმე მონაწილეს ხელში ეჭირა პლაკატი წარწერით „პანორამა არა ყ**“, რის გამოც, სამართალდამცავებმა 7 პირი დააკავეს. სამართალდარღვევათა ოქმების თანახმად, დაკავებულებს ჰქონდათ პლაკატები უხამსი წარწერით, რომელსაც ისინი ხმამაღლა სკანდირებდნენ, ხოლო ორი მათგანი პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, უწმაწური სიტყვა მომჩივნებმა გამოიყენეს, როგორც სტილისტური იარაღი „თბილისი პანორამას“ პროექტის მიმართ მაღალი ხარისხის წინააღმდეგობის

გამოსახატად. მიუხედავად იმისა, რომ მათ ამისთვის კონტრავერსიული ფორმა აირჩიეს, ეს საკმარისი არ არის შეკრების თავისუფლების შესაზღუდად. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) ფონზე.

■ ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ

მომჩივანი 2011-იდან 2014 წლამდე სასჯელს გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა, სადაც იგი სისტემატურად იყო არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად ამ საქმეზე 7 ადამიანი გასამართლდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ პროცესში გამოკვეთილ ხარვეზებსა და გაჭიანურებულ ვადებზე. მისი შეფასებით, 2012-2016 წლებში გამოვლინდა გარკვეული უმოქმედობა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. მეტიც, მომჩივანს დაუსაბუთებლად არ ჰქონდა მსხვერპლის (დაზარალებულის) სტატუსი, რაც ხელს უშლიდა გამოძიებაში მის ჩართულობას. სასამართლოს განმარტებით, „დაგვიანებული მართლმსაჯულება უარყოფილი მართლმსაჯულების ტოლფასია", შესაბამისად, მიიჩნია, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილი. გარდა ამისა, საერთაშორისო სასამართლოს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ და ზემდგომმა ინსტანციებმა (2014-2017 წლებში), რომლებსაც მომჩივანმა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა, ვერ დაადგინეს მიყენებული დაზიანებების კავშირი პატიმრობაში ყოფნის პერიოდთან, მაშინ, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების დროს პირი სრულიად ჯანმრთელი იყო.

■ ა. გ. საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ა.გ. საქართველოს წინააღმდეგ" (no 38650/18) დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში. საქმე შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანას, რომელმაც ეს გადაწყვეტილება ყოფილი მეუღლის მხრიდან სისტემატური ძალადობის გამო მიიღო. წლების განმავლობაში ქალმა 16-ჯერ მიმართა პოლიციას დასახმარებლად. ამის მიუხედავად, სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერება და არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები. ამან კი მოძალადეს შეუქმნა დაუსჯელობის განცდა და მისი ძალადობრივი ქმედებები წაახალისა.

■ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება

საიამ და „საფარმა" საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინეს სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება საქმეზე „ბუდუ შეყილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". *საქმე ეხება სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონის იმ ნორმას, რომელიც ქალებისთვის პენსიის მიღების ასაკად ადგენს 60 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის - 65 წელს.* მოსარჩელე დავობს, რომ იგი, როგორც მამაკაცი, ქალებთან შედარებით, დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლოა, ქალების საპენსიო ასაკი 60-იდან 65 წლამდე გაიზარდოს და მამაკაცების საპენსიო ასაკს გაუთანაბრდეს.

საიას და „საფარის" მიერ წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ქალი და მამაკაცი, სამართლებრივი თვალსაზრისით, არსებითად თანასწორნი არიან, თუმცა მათ ერთნაირად არ მიუწვდებათ ხელი მატერიალურ რესურსებზე. დოკუმენტში მითითებული სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, თავიანთი დროის დიდ ნაწილს არაანაზღაურებად შრომაში ატარებენ. გარდა ამისა, ოჯახის წევრებზე ზრუნვის მოტივით, ისინი ხშირად უარს ამბობენ სამსახურზე, დაწინაურებაზე და თანხმდებიან ნახევარ განაკვეთზე მუშაობას, რაც, კაცებთან შედარებით, ნაკლები შემოსავლის მიღებას ნიშნავს.

აღსრულების მექანიზმების გამოყენება

საიას ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულებაზე მუშაობა და ადვოკატირება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საანგარიშო პერიოდში საიამ 4 ჯგუფის საქმეებზე (*ცინცაბაძის, თხელიძის, როსტომაშვილისა და იდენტობის ჯგუფის* საქმეები) წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

საქმეთა აღსრულების ანალიზის შედეგად, პრობლემურ საკითხთა შორის თითოეულ ჯგუფში შემდეგი ასპექტები გამოიკვეთა:

- **ცინცაბაძის ჯგუფი** - კრიმინალური სუბკულტურის არსებობა პენიტენციურ დაწესებულებებში, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ჩართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, მათ შორის, პრობლემები სტატუსის მინიჭებისა და დაზარალებულის მხრიდან პროცესის მონიტორინგის კუთხით, ასევე, წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების ნაკლებობა.

- **თხელიძის ჯგუფი** - პოლიციელთა მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ახსნა-განმარტებების არასათანადო/არაზუსტი ჩაწერა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთასთან დაკავშირებული გამოწვევები, რისკების შეფასების კითხვარის არაჯეროვანი ინტეგრაცია საპოლიციო საქმიანობაში, ელექტრონული სამაჯურების იმპლემენტაციის კუთხით არსებული ხარვეზები.

- **როსტომაშვილის ჯგუფი** - გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის/ამოღების ჩატარების საფუძვლის - გამომძიებლის დადგენილების არასათანადო ხარისხი და ნაკლოვანებები, ჩხრეკის ოქმის კანონიერების გასაჩივრების კუთხით არსებული გამოწვევები და წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული პრაქტიკის არაერთგვაროვნება, რაც ნორმათა ბუნდოვანებით არის განპირობებული.

- **იდენტობის ჯგუფი** - სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ დისკრიმინაციის წახალისება, მსვლელობებთან დაკავშირებული ძალადობის არაეფექტიანი გამოძიება, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური დანაყოფის არარსებობა და ამგვარი დანაშაულების გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის კუთხით არსებული ხარვეზები.

სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებზე რეაგირება

სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილი სისტემური პრობლემების მოსაგვარებლად საია სხვადასხვა მექანიზმს მიმართავს. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ ამ კუთხით არაერთი აქტივობა განახორციელა.

- გრძელდებოდა აქტიური ადვოკატირება ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლისა და მისი სისტემური რეფორმირების** მიმართულებით. ამ მიზნით:

– **მომზადდა 4 კვარტალური მიმოხილვა „მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით“.** საქართველოში დღემდე მოქმედებს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პრობლემების საფუძველია. კვარტალური ანგარიშები 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მომხდარ ძირითად მოვლენებს აერთიანებს.

– **გაიმართა ფორუმი „მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით”**, რომლის მიზანი იყო საზოგადოებისთვის ამ მიმართულებით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა მოსაზრებების მოსმენა იმ გამო-

წვევებზე, რომლებიც მათი პერსპექტივიდან იკვეთება. ფორუმის ფარგლებში საიამ ასევე შეაჯამა „მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით“ პროექტის შედეგები.

– **მომზადდა პოდკასტების სერია**, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებზე ისაუბრეს მოწვეულმა სტუმრებმა - მოსამართლეებმა, საერთაშორისო და საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტებმა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა.

- საია მუშაობს არასრულწლოვანის საქმეზე, რომელშიც **გამოიკვეთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების - დაავადება ფენილკეტონურიის სკრინინგის - ნაკლოვანებები**. ამ პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ადვოკატირების მიზნით, საიამ მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც მიმოხილულია ფენილკეტონურიაზე ახალშობილთა სკრინინგის სახელმწიფო პროგრამაში არსებული ხარვეზები.

- **გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე „შრომითი უფლებები საჯარო სამსახურსა და კულტურის სფეროში“**. შეხვედრაზე საიამ წარმოადგინა ანგარიში, რომელიც შეეხება კულტურის სამინისტროს ახალ საკადრო პოლიტიკას და მოიცავს ამ სფეროში არსებული შრომითი დავების სამართლებრივ ანალიზს.

- **მომზადდა პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის - პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე**. ბოლო წლებში საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობა დაკავშირებულია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ პირობებში მუშაობასთან. 2019 წლის 20-21 ივნისსა და 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებს არა მხოლოდ ხელი შეეშალათ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ, ასევე, საფრთხე შეექმნა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შედეგად, მედიის არაერთმა წარმომადგენელმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები, მწყობრიდან გამოვიდა მათი სამსახურებრივი ტექნიკა. სახელმძღვანელოში განხილულია ის ძირითადი სამართლებრივი რეგულაციები და პრაქტიკა, რომლებიც ჟურნალისტებს დარღვეული უფლებების აღდგენაში დაეხმარება. ამასთანავე, მოცემულია უშუალოდ ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საჯარო შეკრებების გაშუქების დროს მოქმედებს.



- **გაიმართა შეხვედრა გორში ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან მათი უფლებების თაობაზე.** საიას მიერ მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელოს მეშვეობით, ჟურნალისტებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია იმ საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომლებიც საჯარო შეკრებების გაშუქების დროს მოქმედებს.

- **გამოიცა გზამკვლევი მედიის წარმომადგენლებისთვის - „როგორ გამოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია“.** დოკუმენტი შეეხება შემდეგ საკითხებს: განეკუთვნება თუ არა კონკრეტული მასალა საჯარო ინფორმაციის კატეგორიას, როგორ უნდა გამოითხოვოს დაინტერესებულმა პირმა საჯარო ინფორმაცია და რა ბერკეტები არსებობს მოთხოვნაზე უკანონოდ უარის თქმის შემთხვევაში. გზამკვლევის მიზანია ამ თემებზე მედიის წარმომადგენელთა ინფორმირება.

- **მომზადდა სახელმძღვანელო „როგორ ვისარგებლოთ გაფიცვის უფლებით“.** დოკუმენტში განხილულია დასაქმებულთა უფლებები გაფიცვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პრაქტიკული საკითხები.

- **მომზადდა კიდევ ერთი გზამკვლევი აქციის მონაწილეებისა და აქტივისტებისთვის.** სახელმძღვანელოს მიზანია მათი ცნობიერების გაზრდა და ინფორმაციის მიწოდება ისეთი საკითხებზე, როგორებიცაა: შეკრება-მანიფესტაციების დროს კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნები და პრაქტიკაში გასათვალისწინებელი ასპექტები, შესაბამისი აკრძალვები და თავდაცვის ხერხები პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში. სახელმძღვანელოში ასევე განხილულია მუნიციპალიტეტის მერიისა და პოლიციის უფლება-მოვალეობები მშვიდობიანი აქციის/მანიფესტაციის დროს.

2 აღამიანის უფლებების დაცვა

პროგრამის პრიორიტეტები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- თანასწორობის პოლიტიკა
- სოციალური პოლიტიკა
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება
- გამოხატვის თავისუფლება

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში არსებული გამოწვევების, მიღწევებისა და იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც საია პროექტულად თუ მოხალისეობრივად ახორციელებდა. გარდა ამისა, პროგრამა აქტიურად ასრულებდა ადამიანის უფლებების გუშაგის (watchdog) როლს, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა უფლებრივ დარღვევასა თუ საკითხზე 31 განცხადება მომზადდა.

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის აღსრულების მონიტორინგი

გამოწვევები

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის) საქართველოს პარლამენტმა დაინტერესებულ მხარეებთან ჯეროვანი განხილვის გარეშე დაამტკიცა. ამ ეტაპზე გამოწვევად რჩება სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, მისი ჯეროვანი აღსრულების მიზნით, ვინაიდან უცნობია, როგორი ფორმატი შეიმუშავა ამისთვის საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნომ.

საია საანგარიშო პერიოდში ასრულებდა ფასილიტატორის როლს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაზე არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებების წარდგენის პროცესში, ასევე ადვოკატირებდა ამ მიმართულებით სამოქალაქო სექტორის ეფექტიან ჩართულობას.

აქტივობები

ამ მიზნით საიამ:

- გამართა **1 პრესკონფერენცია.**
- გაავრცელა **2 განცხადება.**
- 24 ორგანიზაციის სახელით წარადგინა **წერილობითი მოსაზრებები** იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების გასათვალისწინებლად, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების მიზნით.
- შეიმუშავა **ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის მონიტორინგის ინსტრუმენტი**, რომელიც საქართველოში **პირველად** შეიქმნა. ამ საკითხებზე ასევე ჩატარდა ტრენინგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.

მიღწევები

მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნით სამოქალაქო საზოგადოება გაძლიერდა შესაბამისი ცოდნითა და უნარებით ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის აღსრულების მიმართულებით.

გარემოს დაცვა

გამოწვევები

ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ხარვეზები გარემოს დაცვის კანონმდებლობასა და მის ეფექტიანად აღსრულებაში. მათ შორის: ა) გარემოსდაცვითი სისხლისსამართლებრივი რეგულირება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის პრევენციას და მასზე რეაგირებას; ბ) პრობლემურია იურიდიული პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება; გ) კლიმატის ცვლილების კუთხით ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო და კანონის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხები, ვინაიდან მისგან მომდინარე საფრთხეები რისკის წინაშე აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და განვითარებას; დ) გამოწვევად რჩება გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა, კერძოდ, პრობლემური და დროში გაწელილი პროცესია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან ამ საკითხებზე საჯარო ინფორმაციის მიღება; ე) დაინტერესებულ პირებს ხშირად არ ეძლევათ საშუალება, შინაარსობრივად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელი მიუწვდებოდეთ ეფექტიან, დროულ მართლმსაჯულებაზე; ვ) ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერების დონე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და ამ საკითხებთან დაკავშირებით ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ.

აქტივობები

საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ:

- შეიმუშავა და წარადგინა **მოსაზრებები** კლიმატის ცვლილების კანონის **„მწვანე წიგნთან“** დაკავშირებით, რომლითაც შემოთავაზებულია, თუ რა საკითხები უნდა აისახოს კანონში, რა ტიპის ვალდებულებები უნდა დაეკისროს სახელმწიფოს და როგორი უნდა იყოს აღსრულების მექანიზმები.
- შეიმუშავა **მოსაზრებები,** თუ რა საკითხები უნდა აისახოს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით **ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში.**

- ჩართული იყო შეხვედრებში, რომლებიც შეეხებოდა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას. მათ შორის, მონაწილეობა **მიიღო 3 საერთაშორისო კონფერენციაში**.
- ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე გამოაქვეყნა საინფორმაციო ხასიათის **2 ბლოგი** და **1 მიმოხილვა.**
- გაიმართა კვლევის პრეზენტაცია **„გარემოს დაცვის სისხლისსამართლებრივი რეგულირება“**.

მიღწევები

გარემოსდაცვითი სისხლისსამართლებრივი რეგულირების შესახებ საიას მიერ მომზადებულმა კვლევამ გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ კუთხით დასახული მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციამ ასევე შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არსებული გამოწვევების დაძლევა. კვლევამ უზრუნველყო მნიშვნელოვანი საკითხების პოპულარიზაცია და შეიქმნა სამომავლო თანამშრომლობის საფუძველი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციასა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან. ამასთანავე, საიას მიერ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების თაობაზე მომზადებული ბლოგებისა თუ კვლევების საშუალებით, დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ რა საფრთხეები ექმნება ამ კუთხით ადამიანის უფლებებს და რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი

გამოწვევები

10 წელზე მეტია, საია ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. საანგარიშო პერიოდში ასევე ჩატარდა იმ სამოქალაქო საქმეების მონიტორინგი, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართულ სტრატეგიულ სამართალწარმოებასთან (ე.წ. SLAPP საქმეები).



სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები:

ა) კვლავ პრობლემურია მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიების - გირაოსა და პატიმრობის გამოყენების, ასევე მათი დასაბუთების პრაქტიკა. ბ) საგანგაშოა სასამართლოს სუსტი კონტროლი საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით. გ) შეინიშნება ოჯახურ დანაშაულებზე სასამართლოს ლოიალური მიდგომები, რაც გამოიხატება, წინა პერიოდთან შედარებით, მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელების შეფარდებაში. დ) კანონმდებლობით განსაზღვრული დროებითი წესი სასამართლოს სხდომების დისტანციურად გამართვის შესახებ 2023 წლის 1-ელ იანვარს ამოიწურა, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ დრომდე არ შესულა ცვლილებები ამ კუთხით შესაბამისი რეგულირების შემოსაღებად.

სამოქალაქო სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები:

მონიტორინგის ფარგლებში საია, ძირითადად, აკვირდებოდა სამართლებრივ დავებს ცილისწამებასთან დაკავშირებით, რაც სამოქალაქო ჩართულობის შეზღუდვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოიკვეთა. ეს საქმეები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი მიმართულია მედიასაშუალებებისთვის ფინანსური ზიანის მიყენების და, შედეგად, მათი საქმიანობის ხელშეშლისკენ.

აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საიამ:

- წარადგინა **მოსაზრებები** და მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საკომიტეტო მოსმენებში, რომლებიც აღკვეთის ღონისძიებების რეფორმას შეეხებოდა.
- **მოამზადა სისხლის სამართლის მონიტორინგის №17 ანგარიში**, რომელიც, სისტემურთან ერთად, მოთხოვნაზე დაფუძნებულ სასამართლო მონიტორინგსაც მოიცავს.
- პროექტის ფარგლებში მოხალისეების მიერ მომზადდა **4 ბლოგი.**
- განხორციელდა პროექტი „ერთი თვე სასამართლო მონიტორად“, რომლის ფარგლებშიც, სასამართლოს მონიტორინგის პროცესში, ჯამში, **10 სტუდენტი ჩაერთო მოხალისედ**. პროექტის მიზანია სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება.
- გაიმართა 2 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის, თანასწორობის მოძრაობის წარმომადგენლებთან. საიამ მათ გაუზიარა ინფორმაცია მოთხოვნაზე დაფუძნებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის, საქმეთა აღებისა და ფილტრაციის კრიტერიუმების შესახებ.
- **გავრცელდა განცხადება** ნიკა გვარამიასა და ლაზარე გრიგორიადისის სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

მიღწევები

აღკვეთის ღონისძიებების რეფორმა შეიძლება შეფასდეს, როგორც მიღწევა, რომელსაც საია, წლებია, ადვოკატირებს, კერძოდ, ითხოვს მათი სახეების გაზრდას და ქმედითი აღკვეთის ღონისძიებების დამატებას. თუმცა, არსებითია მომავალში იმის შეფასება, რა გამოვლინება ექნება ამ რეფორმას პრაქტიკაში.

შეკრების, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლება

გამოწვევები

საანგარიშო პერიოდში იყო მცდელობები, შევიწროებულიყო სივრცე როგორც სამოქალაქო ჩართულობის კუთხით, ისე მედიის წარმომადგენლებისთვის - ხელშეშლის გარეშე განეხორციელებინათ თავიანთი საქმიანობა. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. „რუსული კანონი“, რომელიც მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მმართველმა ძალამ უკან გაიწვია. მთავრობა ხშირად მიმართავდა აგრესიულ რიტორიკას ჟურნალისტების წინააღმდეგ და ზეწოლას ახდენდა არასახელისუფლებო მედიასაშუალებებზე. ამგვარი წნეხის ერთ-ერთი გამოვლინებაა ე.წ. SLAPP საქმეების გაზრდილი რაოდენობა. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სულ უფრო მეტად ცდილობს, გაზარდოს სახელისუფლებო გავლენა შესაბამისი მიმართულებებით. ლგბტ+ ჯგუფების შეკრების უფლება წელს დახურული ღონისძიების ფარგლებშიც ვერ განხორციელდა. გაზრდილია ასევე ზეწოლისა და მადისკრედიტირებელი რიტორიკის მასშტაბები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ.

აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საია მონიტორინგს უწევდა საქართველოში შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ამ მიმართულებით ორგანიზაციამ შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- მოამზადა და გაავრცელა **12 განცხადება.**
- აქტიურად იყო ჩართული **მედიაკოალიციის** საქმიანობაში მედიის წინააღმდეგ მიმდინარე მოვლენების მონიტორინგისა და რეაგირების მიზნით.
- წვლილი შეიტანა **თანასწორობის კოალიციისა** და **სსო მეტრის** ანგარიშის შექმნაში შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების თემაზე.
- **კოალიცია „არა ფობიას“** ფარგლებში **იმუშავა** მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.
- მოამზადა ანგარიში **„ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ“**, რომელშიც შეფასებულია 7-9 მარტის აქციების დაშლის დროს გამოკვეთილი ტენდენციები და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.

მიღწევები

საანგარიშო პერიოდში, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მონიტორინგის, ასევე ადვოკატირების ფარგლებში, საიამ მყისიერი რეაგირება მოახდინა წლის განმავლობაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი შეკრება-მანიფესტაციის დროს გამოვლენილ უფლებადარღვევებზე.

შრომის უფლება

გამოწვევები

შრომის უფლებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში შემდეგი გამოწვევები გამოიკვეთა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობა და ანაზღაურების გარეშე მისი შესრულება; ანაზღაურებადი შვებულების სრულად გამოუყენებლობა; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების სრულად აუნაზღაურებლობა; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დარღვევებით და სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება; შრომით ურთიერთობებში სხვადასხვა საფუძვლით დისკრიმინაცია; პროფესიული კავშირების ნაკლებობა და, არსებობის შემთხვევაში, მათი წარმომადგენლებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა; ღირსეული მინიმალური ხელფასის არარსებობა; შრომით ურთიერთობებში სოციალური გარანტიების ნაკლებობა; შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების საჭიროება.

აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საია:

- აქტიურად იყო ჩართული „ღირსეული შრომის პლატფორმის“ საქმიანობაში და, პლატფორმის სხვა წევრებთან ერთად, გაავრცელა **26 განცხადება** საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების თაობაზე.
- აწარმოებდა **ადვოკატირების აქტიურ კამპანიას** საჯარო სამსახურში შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნდა **25 საინფორმაციო ბარათი** და **20 ბლოგი** სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. გარდა

ამისა, გამოცხადდა **სტუდენტური სტატიების კონკურსი** შრომითი უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

- ჩატარდა **2 სამუშაო შეხვედრა** სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების სამსახურების წარმომადგენლებთან, საჯარო სამსახურში შრომითი უფლებების დაცვის კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევების, ასევე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე.
- გაიმართა საჯარო დისკუსია **„შრომითი უფლებები საჯარო სამსახურსა და კულტურის სფეროში“**, სადაც მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები.
- ორგანიზაციამ შეიმუშავა **მოსაზრებები,** რა საკითხები უნდა აისახოს შრომის უფლებასთან დაკავშირებით **ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში.**

მიღწევები

საანგარიშო პერიოდში შრომის უსაფრთხოებასა და შრომით უფლებებთან დაკავშირებით საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და ადვოკატირების შედეგად, გაიზარდა ამ საკითხებზე მოქალაქეების ცნობიერება. გარდა ამისა, საჯარო მოსამსახურეები უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი საჯარო სამსახურში შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების თაობაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაგზავნილი ანგარიშები და საერთაშორისო თანამშრომლობა

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩრდილოვანი ანგარიშების გაგზავნა, ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდა და შესაბამისი დამხმარე დოკუმენტების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა შემდეგი ანგარიშები:

- 2 ალტერნატიული ანგარიში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW).
- ალტერნატიული ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტისთვის.
- ალტერნატიული ანგარიში სოციალური უფლებების ევროპულ კომიტეტში საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის იმპლემენტაციის თაობაზე.

ევროპული იმპლემენტაციის ქსელისა (EIN) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა **ტრენინგი** „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია საქართველოში“, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საია ასევე გახდა **EIN-ის პარტნიორი პროექტში** - სიტყვის თავისუფლების მხარდაჭერა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

საია ჩართული იყო ევროპის საბჭოს **სამუშაო ჯგუფში,** რომლის მიზანი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, ის გახდა ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელის (EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK - EPLN) **წევრი.** საიამ და EPLN-მა თბილისში გამართეს ერთობლივი **პანელური დისკუსია:** „ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი: რა პერსპექტივებია სასჯელაღსრულების სისტემების რეფორმასთან დაკავშირებით უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში?”

3

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

პროგრამის პრიორიტეტები

ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ინსტრუმენტად იქცევა პოლიტიკური და კლანური დაჯგუფებების ხელში. ამ პირობებში საჯარო სიკეთე სწორედ მათ კეთილდღეობას ხმარდება, სხვა მოქალაქეების ინტერესები კი უგულებელყოფილია. საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა განაგრძობს ისეთ რეფორმებსა და პროექტებზე მუშაობას, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში მყარი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ინკლუზიური პოლიტიკის მქონე ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

პროგრამა საანგარიშო პერიოდში 6 ძირითადი მიმართულებით მუშაობდა:

- საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი
- მართლმსაჯულება
- საჯარო მმართველობა
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- არჩევნები
- ევროინტეგრაცია

საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი

გამოწვევები



საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი, რომელსაც საია აწარმოებს, მოიცავს არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის საკითხებს, არამედ მისი მუშაობის ყველა პროცედურულ ასპექტს. კვლავ გამოწვევად რჩება საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების არაქმედითი გამოყენება დეპუტატების მიერ. იმავდროულად, საკანონმდებლო ჩარჩო საჭიროებს ამ კუთხით ისეთი მექანიზმების გაძლიერებას, როგორებიცაა, მაგალითად, ინტერპელაცია, სადეპუტატო კითხვა, კომიტეტზე ანგარიშვალდებული პირის დაბარება, კომიტეტის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნა, თემატური მოკვლევა. გასაუმჯობესებელია კაბინეტის თითოეული წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზომებიც.

აქტივობები

ამ მიმართულებით საიამ საანგარიშო პერიოდში:

- გამოაქვეყნა კვლევა **„საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში“**.
- მომზადდა კიდევ ერთი მცირე კვლევა მინისტრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ.
- საკანონმდებლო ორგანოს **წარუდგინა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების პროექტი.**
- **მოამზადა 2 ბლოგი.**
- დაიწყო მუშაობა ნდობის ჯგუფის საქმიანობისა და ისტორიული სამართლებრივი საფუძვლების შესასწავლად.
- საპარლამენტო კონტროლის საკითხებზე საზოგადოებაში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების თეორიული, პრაქტიკული ასპექტებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, **ჩაატარა 4 ტრენინგი.**

- წარადგინა მოსაზრებები პარლამენტის რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებზე, რომლებიც ეხებოდა, მათ შორის, საკანონმდებლო პაკეტის ერთი კენჭისყრით მიღებას. ზეპირი სახით მიაწოდა ასევე რეკომენდაციები საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. გარდა ამისა, **მოამზადა მოსაზრებები პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფების შექმნის წესის ცვლილების თაობაზე,** რომლითაც საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალ უფრაქციო დეპუტატებს ამგვარი ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა მიეცათ. პარლამენტს ასევე წარუდგინა მოსაზრებები რეგლამენტის ცვლილებებზე, რომლებიც ითვალისწინებდა ანგარიშების განხილვას, პლენარულის ნაცვლად, კომიტეტების სხდომებზე, ასევე ეხებოდა დაჩქარებული წესით განხილვის პროცედურისა და საკანონმდებლო პაკეტზე კენჭისყრის წესის ცვლილებას.

- გამართა სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის კომიტეტის, აპარატისა და დეპარტამენტების თანამშრომლებთან.
- აქტიურად ადევნებდა თვალს პარლამენტში 2023 წლის მარტში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ეხებოდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უცხო ქვეყნის გავლების აგენტებად რეგისტრაციის კანონპროექტების წარდგენას, განხილვასა და, საბოლოოდ, მათ უკან გამოწვევას. საიამ გააანალიზა და შეაფასა შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურები და მათი მიმდინარეობა.

მიღწევები

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა გაითვალისწინა საიას მიერ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში წარდგენილი რეკომენდაციების ნაწილი და რეგლამენტის ინიციირებულ პროექტში ასახა. პარლამენტმა ასევე გაითვალისწინა საიას მოსაზრება პაკეტში შემავალი კანონპროექტების მისაღებად კვორუმის ცვლილებასთან დაკავშირებით (ის აღარ გაუთანაბრდება ორგანული კანონის პროექტებისთვის დადგენილ კვორუმს).

გარდა ამისა, საპარლამენტო კონტროლის საკითხებზე გადამზადდა 30-მდე სტუდენტი, ასევე რეგიონული სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მართლმსაჯულება

გამოწვევები

საიას ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება მართლმსაჯულება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ორგანიზაცია მთელი წლის განმავლობაში ადვოკატირებდა ფუნდამენტურ ცვლილებებს ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან. სასამართლო სისტემის მთავარი გამოწვევა ამ წელსაც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მმართველობა იყო, რასაც ხელს უწყობდა საბჭოს წევრების შერჩევის მოქმედი წესი. მაშინ, როდესაც საერთაშორისო პარტნიორები სასამართლო სისტემისა და საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობენ, ხელისუფლებამ, ძირეული რეფორმების გატარების ნაცვლად, უფრო მეტად წაახალისა კორპორატივიზმი საბჭოში.

კანონში 2021 წლის ბოლოს მიღებული ცვლილებით, გაუქმდა საბჭოს წევრად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს შემადგენლობაში, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან, ეს ცვლილება ცალსახად უარყოფითად შეფასდა. ვენეციის კომისიამ, დიდწილად, გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული შეფასებები და ხაზი გაუსვა ამ კრიტიკის მნიშვნელობას სასამართლო სისტემის რეფორმის გარშემო არსებული კონტექსტის შეფასებისას. გარდა ამისა, პრობლემურია საბჭოში „კლანისადმი“ ლოიალურად განწყობილი 3 არამოსამართლე წევრის არჩევის საკითხი. 2 არამოსამართლე წევრის ადგილი კი კვლავ ვაკანტურია.

რაც შეეხება მართლმსაჯულებაზე ევროკომისიის რეკომენდაციებს, მმართველი პარტიის მიერ მათი ნაწილობრივი შესრულება და რეფორმის ფრაგმენტულად გატარების მცდელობა ვერ აგვარებს სისტემაში არაფორმალურ გავლენებთან, კორპორატივიზმთან, სასამართლოს ადმინისტრირებასა და მის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამასთანავე, ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას.

აქტივობები

ამ მიმართულებით საიამ საანგარიშო პერიოდში:

- გამოაქვეყნა **2 ანგარიში** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით.
- მოამზადა კოალიციური კვლევა „მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“.
- ჩაატარა **2 ონლაინდისკუსია** ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.
- გამოაქვეყნა **3 საინფორმაციო ბარათი**.
- მოამზადა ბლოგპოსტი.
- ჩაატარა **8 გასვლითი შეხვედრა რეგიონებში** მართლმსაჯულების სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე (3 - ინდივიდუალური, 5 - კოალიციური ფორმატით).



მილწევები

საანგარიშო პერიოდში საია გახდა „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” კოალიციის თავმჯდომარე და ამ მანდატით განაგრძობდა საქმიანობას მართლმსაჯულების სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების ადვოკატირების მიზნით.

ორგანიზაცია ამზადებდა რეკომენდაციებს სისტემის მთავარ გამოწვევებთან დაკავშირებით, აგრძელებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას არსებული პრობლემების სწორად იდენტიფიცირებისთვის და პროაქტიულად აწვდიდა მათ ინფორმაციას მიმდინარე საკითხებზე.

არჩევნები

გამოწვევები

არჩევნები საიას საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა მიიღო ევროკომისიის 12 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი. შედეგად, საარჩევნო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: განისაზღვრა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების წესი, შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირების რეგულაცია, გაიწერა უბანზე ხმების დათვლისას გამოვლენილი ე.წ. დისბალანსის შემთხვევაში ბიულეტენების გადათვლის საფუძვლები, გაიზარდა კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევების და საოლქო კომისიის მიერ მიღებული საჩივრების განხილვის ვადები.

ჯერჯერობით კვლავ გამოწვევად რჩება: ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალების ბუნდოვანება და ამ საკითხზე საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გამკაცრება, ხმის ფარულობა, ამომრჩევლის მოსყიდვისა და აგიტაციის შემთხვევებზე შესაბამისი ორგანოების ადეკვატური რეაგირება, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს მიერ კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი კანონპროექტით, იცვლება ცესკოს დაკომპლექტების წესი და უმრავლესობას ენიჭება უფლებამოსილება, ერთპიროვნულად დაამტკიცოს მისი შემადგენლობა.

აქტივობები

ამ მიმართულებით საიამ საანგარიშო პერიოდში:

- გამოაქვეყნა **11 საინფორმაციო ბიულეტენი საარჩევნო საკითხებზე.**
- მოამზადა ანგარიში პარტნიორ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება) ერთად.
- გამოაქვეყნა კვლევა **„პოლიტიკური თანასწორობის ინდექსი“.**

საქართველოს
პატრიოტთა
ალიანსი
ეროვნული
ინტერესი
ადამიანი
ინფორმაციული
ტექნოლოგიები
ინფორმაციული
ტექნოლოგიები
ინფორმაციული
ტექნოლოგიები

- გამართა ონლაინპრეზენტაცია.
- **პარლამენტს წარუდგინა მოსაზრებები** საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე.
- გამოაქვეყნა 2 განცხადება.
- განახორციელა **გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია.**
- გამართა შეხვედრა ცესკოს წარმომადგენლებთან ელექტრონულ არჩევნებთან დაკავშირებით.
- გამართა **18 შეხვედრა პოლიტიკურ პარტიებთან** საქართველოს მასშტაბით, საიას რეგიონული ოფისების ჩართულობით.
- მონაწილეობა მიიღო როგორც საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საპარლამენტო განხილვებში კომიტეტების დონეზე, ასევე პარლამენტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

მილწევები

საიამ საანგარიშო პერიოდში წარმატებით განახორციელა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიები. ორგანიზაცია დააკვირდა მაჟორიტარული სისტემით გამართულ საკრებულოს შუალედურ არჩევნებს ქუთაისში, ხოლო საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატისა და გურჯაანის მერის არჩევნებს - შესაბამის საარჩევნო ოლქებში. გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღო პარლამენტში საარჩევნო კანონპროექტთან დაკავშირებულ საკომიტეტო განხილვებში და კრიტიკული მოსაზრებები წარუდგინა მმართველ პარტიას საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე.

საჯარო მმართველობა

გამოწვევები

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 16 თებერვალს დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. ეს სტრატეგია წინა გზამკვლევის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ დამტკიცდა. ამასთანავე, ის სრულად არ მოიცავს პრობლემების ანალიზის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და, რეალური რეფორმების ნაცვლად, მეტწილად, ტრენინგებსა და ცნობიერების გაზრდაზეა ორიენტირებული.

OGP-ის სამოქმედო გეგმა 2019 წლის შემდეგ არ დამტკიცებულა. დაწყებულია 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, თუმცა სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ვალდებულებების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიარებული არ არის. ე.წ. „რუსული კანონის“ პირველი მოსმენით მიღების შემდეგ ღია მმართველობის საპარლამენტო საბჭოს ჯგუფის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა (საია, TI, IDFI, CSI) პარლამენტის OGP-ის საბჭოსთან პარტნიორობა შეაჩერეს.

2013 წლის აპრილში არასამთავრობო სექტორმა, მათ შორის, საიამ OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრებს მიმართა, რომ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ დაეწყო სწრაფი რეაგირების პოლიტიკის პროცედურები, ვინაიდან საქართველო OGP-ის ღირებულებებს და პრინციპებს არღვევდა.

2020 წლის შემდეგ არ დამტკიცებულა ასევე საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

2022 წლის ნოემბერში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც, სხვა სიახლეებთან ერთად, შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო. მიუხედავად იმისა, რომ ამით არაერთი უფლებამოსილება ერთი ორგანოს ქვეშ გაერთიანდა (დეკლარაციების მონიტორინგი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვა და ა.შ.), მას არ აქვს საგამოძიებო ფუნქციები. ამასთანავე, პრემიერ-მინისტრის მიერ ინიშნება ბიუროს ხელმძღვანელი, შესაბამისად, ამ უკანასკნელის დაბალი ლეგიტიმაცია და საგამოძიებო ფუნქციის არარსებობა დამოუკიდებლობის გარანტიას ვერ ქმნის. იმავდროულად, საქართველო არ მონაწილეობს OECD ACN-ის მონიტორინგში.

აქტივობები

ამ მიმართულებით საიამ საანგარიშო პერიოდში:

- ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო სექტორზე თავდასხმების საპასუხოდ, გამოაქვეყნა განცხადება ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში წევრობის შეჩერებასთან დაკავშირებით.
- მონაწილეობა მიიღო საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს მიერ ორგანიზებულ **3 სამუშაო შეხვედრაში,** სადაც წარადგინა მოსაზრებები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად.

მილწევები

პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საიამ დაიწყო ქმედითი მექანიზმის გამოყენება საქართველოში OGP-ის პროცესების გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე, საია დაესწრო OGP-ის საერთაშორისო სამიტს, სადაც მნიშვნელოვანი კომუნიკაცია ჰქონდა საერთაშორისო და ადგილობრივ აქტორებთან საქართველოში OGP-ის პროცესების გაუმჯობესების საკითხებზე.

ორგანიზაცია კვლავ აქტიურად მონაწილეობს საჯარო მმართველობის რეფორმაში, თუმცა პროგრესი დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობა

გამოწვევები

2021 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში არაერთი ცვლილება შევიდა, რომლებმაც დაასუსტა საკრებულოს როლი მუნიციპალიტეტებში. ამ საკანონმდებლო ცვლილებებს საია, ერთი მხრივ, განცხადებებით, მეორე მხრივ კი, შესაბამისი დასკვნებით გამოეხმაურა. ერთ-ერთი არსებითად დამაზიანებელი ცვლილება შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც, მერს აღარ შეუწყდება უფლებამოსილება, თუკი საკრებულო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს კანონით დადგენილ ვადებში ვერ დაამტკიცებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი გამოწვევაა საკრებულოების მიერ საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების სისუსტე. საკრებულოს წევრები, კომისიები, ფრაქციები, ფაქტობრივად, არ იყენებენ კოდექსით და რეგლამენტით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, რაც მერისა და სხვა თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების შესუსტებაზე აისახება. საიას დაკვირვებით, მათ არ მოუსმენიათ მერის ანგარიშები, ასევე, სულ მცირე, საკრებულოს წევრის წერილობითი კითხვითაც არ უსარგებლიათ და ა.შ.

აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საიამ ამ მიმართულებით:

- გამოაქვეყნა კვლევა „საკრებულოს ზედამხედველობა აღმასრულებელ ორგანოზე და მოქალაქეთა ჩართულობა“, რომელიც საზოგადოებას გასაცნობად საჯარო პრეზენტაციის ფორმატში წარუდგინა.

- შვიდ სამიზნე მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით **შეიმუშავა 7 ანგარიში,** რომლებშიც გაანალიზებულია საკრებულოს საზედამხედველო როლი თითოეულ მუნიციპალიტეტში.
- **გამართა 7 პრეზენტაცია,** რომლებზეც საკრებულოს და მერიის თანამშრომლებს ანგარიშში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები გაეცნო.

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში **ჩაატარა 6 ორდღიანი ტრენინგი,** რომლებსაც საკრებულოს წევრები, აპარატის და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ.
- პარლამენტს წარუდგინა მოსაზრება თვითმმართველობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.
- გამართა **6 სამუშაო შეხვედრა 6 სამიზნე მუნიციპალიტეტში** და თითოეულ საკრებულოს შესთავაზა რეგლამენტის, ასევე, კომისიის დებულებების ცვლილება, რომლითაც საკრებულოს საზედამხედველო როლი გაძლიერდება.

მიღწევები

2 ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში გაუმჯობესდა საკრებულოს რეგლამენტები საზედამხედველო ნაწილში, ხოლო 3 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუშაობა რეგლამენტში ცვლილებების შეტანის მიზნით.

ასევე, საზედამხედველო ფუნქციების გამოყენების კუთხით გადამზადდა საკრებულოს 121 წევრი, აპარატის და მერიის თანამშრომელი.

ევროინტეგრაცია: ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების კონტროლი

გამოწვევები

საქართველომ 2022 წლის ივნისში ევროკომისიის 12 რეკომენდაცია მიიღო, რომელთა შესასრულებლად ქვეყანას რამდენიმე თვე მიეცა. პარლამენტმა თითოეული მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო, თუმცა, გამოიკვეთა, რომ ვერ აჩვენა სათანადო პროგრესი, რათა ეს პრიორიტეტები ევროკომისიამ სრულად შესრულებულად მიიჩნიოს.

აქტივობები

ამ მიმართულებით საიამ საანგარიშო პერიოდში:

- მონიტორინგი გაუწია **ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესს** 3 მიმართულებით - არჩევნების, საპარლამენტო კონტროლისა და სასამართლო რეფორმების ნაწილში.
- მონაწილეობა მიიღო პარლამენტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, **წარადგინა მოსაზრებები და რეკომენდაციები.**
- შეიმუშავა და წარმოადგინა ანგარიში ხსენებული სამი მიმართულებით რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე (საანგარიშო პერიოდი დასრულდა 2023 წლის 15 აპრილს).
- გამართა 3 შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტებთან **ევროინტეგრაციის და ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების** საკითხზე.
- ევროინტეგრაციის თემაზე გამართა დახურული შეხვედრა სხვადასხვა აქტორთან, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებთან.
- თელავის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ევროინტეგრაციის თემაზე.
- ამ საკითხთან დაკავშირებით გამართა პანელური დისკუსია და ანგარიშის პრეზენტაცია.

მიღწევები

საიას საინფორმაციო კამპანიის შედეგად, საზოგადოებაში გაიზარდა ცოდნა ევროინტეგრაციისა და ევროკომისიის 12 პუნქტის მნიშვნელობის თაობაზე.

გამოქვეყნდა ევროკომისიის 12 პუნქტის მონიტორინგის ანგარიში არჩევნების, საპარლამენტო კონტროლისა და სასამართლო რეფორმების მიმართულებით. მონიტორინგმა, 15 აპრილის მდგომარეობით, აჩვენა, რომ პარლამენტის მხრიდან ჯერ კიდევ იყო გასაწევი შესაბამისი სამუშაო არსებული შედეგების გასაუმჯობესებლად. საკანონმდებლო ორგანოს ამისთვის დრო იმავე წლის შემოდგომამდე ჰქონდა, სანამ ევროკომისია კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს გადაწყვეტდა.

საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების პროცესში თავიანთი ცალკეული გადაწყვეტილებები შეცვალეს. დაიგეგმა დამატებითი ზომების მიღება (მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების კუთხით), რათა საქართველო მაქსიმალურად მიუახლოვდეს კანდიდატის სტატუსს.

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი:
2022 წლის 1-ლი ნოემბერი - 2023 წლის 31 ოქტომბერი

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის (მოცემულია საგრანტო შემოსავლები იმ პროექტებიდან, რომელთა იმპლემენტაციაც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დაიწყო), შემოწირულებისა და საწევროს სახით, ჯამში, 1,969,345.42 ლარი მიიღო. ეს თანხა, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში საიაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 81 თანამშრომელი, მათ შორის, 32 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,646,716.71 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 74 პირზე - სულ 116,784.16 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 377,707.22 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 15,214.70 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შეძენილია 8,552.92 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 59,281.42 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 40,325.17 ლარი, ოფისების ქირამ - 60,129.79 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 22,476.12 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 82,699.42 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,341,147.75 ლარი, რომელიც, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში საიამ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციაში წარსადგენად **24 საპროექტო განაცხადი** მოამზადა. აქედან:

2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საია **20 მიმდინარე პროექტს** ახორციელებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2023 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარე

თამარ ონიანი - თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ანთაძე

თაია არაბული

რევაზ აჭარაძე

ნინო ბაღაშვილი

ლაშა ბექიშვილი

მარიამ გოგოსაშვილი

გიორგი გოცირიძე

მერი დაუშვილი

რატი თინიკაშვილი

ნათია კაპანაძე

შორენა ლოლაძე

დავით ლომთაძე

თეონა მაჭარაშვილი

გვანცა საკანელაშვილი

სულხან სალაძე

ნიკოლოზ სიმონიშვილი

გიორგი ტაბატაძე

მერი ჩაჩავა

მიხეილ ჯახუა

დირექტორთა საბჭო

ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარე

შორენა ლოლაძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი

თამარ ონიანი - ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის დირექტორი

ნანუკა ყრუაშვილი - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი

სარევიზიო კომისია

გიორგი აბულაძე

მალხაზ ვეფხვაძე

ანდრანიკ მინასიანი

თამარ სარაჯიშვილი

ლაშა ჩალაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - თამარ წულუკიძე

ქუთაისის ფილიალი - დარეჯან სალდაძე

რუსთავის ოფისი - ნათია ქოქიაშვილი

გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი

თელავის ოფისი - მარეხ მგალობლიშვილი

ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე

დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი

ზუგდიდის ოფისი - კესარია ჩახაია